ქ. თბილისი

15 დეკემბერი 2015 წ.

ხელშეკრულება № 20151215/3 N 97

შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე (შემდგომში „დამკვეთი") და შპს „ქართული რადიო"-ს დირექტორი მამუკა ღლონტი (შემდგომში „შემსრულებელი") საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის სარეკლამო მომსახურების გაწევა, - სარეკლამო რგოლის განთავსება შპს „ქართული რადიო"-ს კუთვნილ რადიო არხის „რადიო მაესტროს" ლიცენზირებულ ეთერში საქართველოს ტერიტორიაზე.

1.2 1.1.-ით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით „დამკვეთი" წარუდგენს „შემსრულებელს" სარეკლამო რგოლებს ამავე ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებული წესის მიხედვით, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას განათავსოს იგი ეთერში ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.3 წინამდებარე გარიგება წარმოადგენს (ძირითად) ჩარჩო ხელშეკრულებას, იგი მოქმედებს 2016 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

1.3.1. ყოველ ცალკეულ დაკვეთაზე შეთანხმება მოხდება 1.4.-ის შესაბამისად.

1.4 რეკლამირებული ბრენდი, სარეკლამო რგოლის ქრონომეტრაჟი, განთავსების პერიოდი, სარეკლამო მომსახურების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) და სხვა დეტალები განისაზღვრება დანომრილი დანართით (N 1) რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს .

2. ხელშეკრულების ფასი, სახელშეკრულებო ბიუჯეტი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საგნის განხორციელების საერთო ღირებულება (სახელშეკრულებო ბიუჯეტი) შეადგენს 3000 ლარს .

2.2. სარეკლამო მომსახურების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდა ეკისრება „შემსრულებელს".

2.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4. 1.4.-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების დანართში მითითებული თანხა „დამკვეთის" მიერ გადახდილი იქნება, - მიღება ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღეში. რაც აისახება 4.1. პუნქტის შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

2.5. დასაშვებია 2.1.-ით განსაზღვრული თანხის წინასწარ ავანსად ან/და ნაწილ-ნაწილ წინსწრებით გადახდა.

2.6. სახელშეკრულებო ვადის ნებისმიერ მონაკვეთში, დასაშვებია მხარეთა შორის ანგარიშვალდებულების დადგენა საბუღალტრო ჩანაწერთა ურთიერთშედარებისა და შედეგის აქტირების გზით.

2.6.1. სახელშეკრულებო ვადის ამოწურვისთანავე აუცილებელია 2.6.-ის ამოქმედება, რის საფუძველზეც მხარეები მოახდენენ ურთიერთანგარიშსწორებას, ურთიერთშედარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

3.1.1 ჩარჩო-ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება დასაშვებია წერილობითი შეთანხმებით.

3.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობებით..

3.3. შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება დამკვეთისთვის წინასწარი დასაბუთებული მიზეზის შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4. დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის წინასწარი დასაბუთებული მიზეზის შეტყობინების გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველი ცალკეული სარეკლამო დროის დასრულებისთანავე არა უმცირეს თვეში ერთხელ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, ან/და ინვოისს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

5.1.1. დამკვეთი ვალდებულია მიაწოდოს შემსრულებელს სარეკლამო რგოლი არაუგიანეს მის რადიო არხის ეთერში განთავსებამდე ორი კალენდარული დღით ადრე.

5.1.2. დამკვეთის მიერ მიწოდებული რგოლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსრულებლის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

5.1.3. დამკვეთი ვალდებულია დროული რეაგირება მოახდინოს შემსრულებლის მიერ მითითებულ ხარვეზებზე და უზრუნველყოს მათი დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

5.1.4. დამკვეთი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში.

5.1.5. დამკვეთი უფლებამოსილია განახორციელოს შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.

5.1.6. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ წარდგენილ სარეკლამო მასალაში საავტორო ან მომიჯნავე უფლებების უნებართვო გამოყენების გამო, შემსრულებელს დაუდგება მესამე პირის მიმართ რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, დამკვეთმა სრულად უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს ამ უკანასკნელის მიერ მესამე პირებისათვის გადახდილი ან/და გადასახდელი თანხები.

5.1.7. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის მოთხოვნისთანავე 6.6. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს შემსრულებელს.

5.2. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი:

5.2.1. შემსრულებელმა მაღალპროფესიულ დონეზე უნდა უზრუნველყოს სარეკლამო რგოლის განთავსება ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

5.2.2. შემსრულებელმა დროულად უნდა განიხილოს დამკვეთის მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი.

5.2.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღება დროულად და სრულად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არაუმეტეს შეუსრულებელი ნაწილის სრული ღირებულების 10%-ისა.

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და არა ვალდებულებას, რაც მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს.

6.4. დამკვეთს პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებლისათვის მიწოდებულ რგოლში მოცემული ინფორმაციის სისწორესა და გადაცემული დოკუმენტების ნამდვილობაზე.

6.5. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.6. დამკვეთი აცხადებს, რომ მოპოვებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია ან/და თანხმობა წარმოდგენილ სარეკლამო რგოლის განთავსებასთან დაკავშირებით და უფლებამოსილია დადოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6.7. ხელშეკრულების 6.6. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი პასუხისმგებელია სრულად აანაზღაუროს შემსრულებლისთვის მიყენებული ზიანი.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საკანონმდებლო რეგულაციებით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, - თუ იგი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არ არის, მაშინ ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეებს შორის წარმოჭრილი ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმების გზით.

8.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

9. კონფიდენციალურობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ჩარჩოებში, ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

9.2. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან მიღებული ინფორმაციის გახმაურება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში და, ასევე მოქმედების ვადის გასვლიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

10.2. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

10.3. ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე ან ჩაბარდა ხელზე.

10.4. ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

10.5. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და მისი ყველა პუნქტი წარმოადგენს მხარეთა ნების გამოვლინებას, რომლიდანაც გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ამიტომ მიიჩნევა ბათილად, აღნიშნული არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას, და ხელშეკრულება მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.7. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციასა და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

10.8. რეკვიზიტ(ებ)ის ცვლილების შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ასეთი ცვლილებ(ებ)ის განხორციელებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

10.9. მხარეს არ აქვს ხელშეკრულების, ან მისი რომელიმე ნაწილის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაიმე უფლების, სარგებლის, ვალდებულების, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე სხვა პირისთვის გადაცემის უფლება.

10.10. მხარეები ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ ისინი წარმოადგენენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შექმნილ სამართლის სუბიექტებს და გააჩნიათ სრული და შეუზღუდავი უფლება და შესაძლებლობა გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება და იკისრონ მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება და ამისათვის მათ მოპოვებული აქვთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა სახის ნებართვა ან/და ლიცენზია.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია”	შპს „ქართული რადიო“
ს/კ 204568208	ს/კ 200221991
იურ. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34	იურ. მის:ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. #16	ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის N8
სს ,,ლიბერთი ბანკი”	სს „პროკრედიტ ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის #: GE28LB0113121375356003	ანგარიშის #: GE20PC0243600100013963

ლევან ჩიკვაიძე
გენერალური დირექტორი

მამუკა ღლონტი
დირექტორი

დანართი #1
ხელშეკრულება № 20151215/3

ქ.თბილისი

15 დეკემბერი 2015წ.

1.1 დამკვეთი წარუდგენს შემსრულებელს სარეკლამო ტექტს (ქრონომეტრაჟი 25 წამი), ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას ჩაწეროს და განათავსოს იგი რადიო „მაესტრო“-ს ეთერში დღეში-8 ჯერ სარეკლამო ბლოკებში, 2015 წლის 15 დეკემბრიდან, 2016 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

1.2 შეკვეთის საერთო ღირებულება შეადგენს 800 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

1.3 მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება შემსრულებელს.

1.4 ანგარიშსწორება იწარმოებს არაუგვიანეს მომსახურეობის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში რაც აისახება 4.1.-ის პუნქტის შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

1.5 დანართი შედგენილია ორი თანაბარი იურდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ხელშეკრულების მხარისთვის.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია”	შპს „ქართული რადიო“
ს/კ 204568208	იურ. მის:ქ. თბილისი, კოსტავას
იურ. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #34	ქ. #68
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. #16	ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ზელიაშვილის N8
სს ,,ლიბერთი ბანკი”	სს „პროკრედიტ ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის #: GE28LB0113121375356003	ანგარიშის #: GE20PC0243600100013963
	საიდენტიფიკაციო კოდი: 200221991
ლევან ჩიკვაიძე	მამუკა ღლონტი
გენერალური დირექტორი	დირექტორი